2024 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის

კომისიის თავმჯდომარის,

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის,

ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

და

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრის

ნინო ვარდოსანიძის

ანგარიში

➢ საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

საანგარიშო წლის განმავლობაში, ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის ძირითადი საქმიანობა, დაკავშირებული იყო სახელდების და სიმბოლიკის კომისიის, ხოლო შემდგომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის საქმიანობასთან. ამასთანავე, ვარ ფრაქციის "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი. გარდა ამისა, მ/წლის ივლისამდე გახლდით გარემოს დაცვის კომისიის წევრი.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოში 14 სხდომა ჩატარდა, მიღებულ იქნა 113 დადგენილება და 675 განკარგულება. წლის განმავლობაში ბევრი ახალი პროგრამა დაინიცირდა, რომლის განხილვასა და მხარდაჭერაშიც მივიღე მონაწილეობა.

გაიმართა გარემოს დაცვის კომისიის 15 სხდომა, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა 85 საკითხი, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტების პროექტები, როგორიცაა:

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილებათა პროექტები;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 6 აპრილის №7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტი;
- „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის" პროექტთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულების პროექტი;
- „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების გადამუშავების" პროექტთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულების პროექტი.

საანგარიშო პერიოდში, გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, შემუშავებულ და მიღებულ იქნა საკრებულოს დადგენილება **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის"**

დამტკიცების თაობაზე“, რომლის რეგულირების სფეროს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტზე შესაბამისი რეაგირების განხორციელების საკითხები და პროცედურები.

ამასთანავე, საბჭოს მიერ განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი და ღონისძიება, მათ შორის **საინფორმაციო კამპანიები „შენი სიცოცხლე შენს ხელშია“** და **„ვარდისფერი ოქტომბერი“,** რომელთა მიზანი ქალთა ონკოლოგიური დაავადებებისა და სკრინინგის შესახებ ცნობიერების გაზრდაა; აგრეთვე **კამპანია „არა ქალზე ძალადობას“,** რომლის მიზანს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. ამასთანავე, აღსანიშნავია საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორფსისთან“ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში განხორციელებული პროგრამა, რომელიც ონლაინ სივრცეში ელექტრონული უსაფრთხოების პრინციპების ხელშეწყობასა და ძალადობის მსხვერპლი ქალების მხარდაჭერას გულისხმობს.

საანგარიშო წლის განმავლობაში ჩატარდა **ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ 19 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 43 საკითხი.**

➢ საქმიანობა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში

მ/წლის ივლისამდე გახლდით საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე, რის შემდგომაც კომიიის წევრის სტატუსით ვაგრძელებ აღნიშნული კომისიის საქმიანობაში მონაწილეობას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელდებისა და სიმბოლიკის **კომისიის 12 სხდომა ჩატარდა, აქედან 9 სხდომა უშუალოდ ჩემი თავმჯდომარეობის პირობებში. საერთო ჯამში 202 საკითხი იქნა განხილული, ჩემი თავმჯდომარეობით კი კომისიამ 131 საკითხი შეისწავლა.** 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის ოქტომბრის პერიოდში თბილისის საკრებულოს მიერ, **სახელდების თაობაზე 108 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - განკარგულება იქნა გამოცემული, რაც საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულებების 11 პროცენტია.** 2022-2023 წლების შესაბამის პერიოდშიც სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინიცირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების წილი, საკრებულოს მიერ გამოცემულ განკარგულებებში დაახლოებით 11%-ია.



სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საკითხების შესწავლის და დამუშავების შემდგომ ინიციატივებს ამზადებს როგორც დაინტერესებული მხარეების მომართვის, ისე საკუთარი ინიციატივით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიას დაახლოებით 250 განცხადება წარედგინა. დაინტერესებულ პირთა მომართვიანობა ძირითადად უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას, ობიექტისთვის სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის სახელის მინიჭებას შეეხებოდა.

გარდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული წერილებისა, კომისიის მიერ ასევე დამუშავდა ისეთი კორესპონდენციები, რომელთა საფუძველზეც ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი საანგარიშო პერიოდამდე დაიწყო.

როგორც წინამდებარე ანგარიშში აღინიშნა, კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, განხილული იქნა 202 საკითხი. თითოეულმა საკითხმა სახელდების წესით და საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად გაიარა დამუშავების სავალდებულო ეტაპები. თითოეულ საკითხზე შედგა მიმოწერა როგორც მერიის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან, ასევე საკითხთან შემხებლობაში მყოფ სხვადასხვა უწყებასთან (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური და სხვა.) განხილვის პროცედურების დასრულების შემდგომ თითოეულ საკითხზე გაიმართა საჯარო განხილვა და საკითხი შესაბამისი სამართლებრივი დასკვნის საფუძველზე განსახილველად წარედგინა საკრებულოს.

➢ *თბილისის სიმბოლოების (დროშა, გერბი) მიღება*

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან ერთად აქტიურად იმუშავა თბილისის ჰერალდიკური ნიშნების (დროშა, გერბი) ჰერალდიკურ კანონიკასთან შესაბამისობის საკითხის განხილვის მიმართულებით.

პროფესიული საზოგადოების მიერ, ერთხმად იქნა აღიარებული, რომ თბილისის სიმბოლოები საჭიროებს ჰერალდიკურ პრინციპებთან თანხვედრაში მოყვანას.

2023 წელს, თბილისის სიმბოლოების მიღების თაობაზე დამტკიცდა ნორმატიული დოკუმენტები და ნამუშევრების შესაფასებლად შეიქმნა საკონკურსო კომისია.

2024 წელს გამოცხადდა შესარჩევი კონკურსი. საკონკურსო პერიოდში კომისიას წარედგინა 27 საკონკურსო ნამუშევარი, რომელთა შეფასებაც ანონიმურობის დაცვის პრინციპით განხორციელდა.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ნამუშევრების ნაწილი პირდაპირ იმეორებდა სახელმწიფო სიმბოლოებს, რაც ქალაქის სიმბოლიკისთვის დაუშვებელია. რიგ შემთხვევებში არ იყო დაცული კავშირი გერბსა და დროშას შორის.

წარმოდგენილი პროექტების ნაწილი არ ასოცირდებოდა თბილისთან, მის თვალსაჩინოებებთან ან ისტორიასთან, ხოლო ის ნიმუშები, რომლებიც ამგვარ იდეებს გამოხატავდა, მხატვრული შესრულების კუთხით ან ჰერალდიკური გამოსახვის წესების დარღვევის გამო დაწუნებულ იქნა.

ვინაიდან საკონკურსო განაცხადებით წარმოდგენილი ნამუშევრებიდან გამარჯვებული ნიმუში ვერ შეირჩა, კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდა, საკონკურსო კომისიამ კი ახალი კონკურსის გამოცხადების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო.

➢ *მნიშვნელოვანი აქტივობები*

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მუდმივად ახორციელებს თბილისის ურბანულ გარემოში საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის გატარებას, სამშობლოს დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის და სხვა სფეროს ღვაწლმოსილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების სახელების სათანადო უკვდავყოფის გზით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიამ იმუშავა თბილისში არსებული გეოგრაფიული ობიექტებისთვის ისეთი საზოგადო მოღვაწეების სახელების მინიჭებაზე, როგორებიც არიან:

ხელოვნება, კულტურა, მწერლობა:

- გურამ ფირცხალავა
- რევაზ ჭოხონელიძე
- ომარ კელაპტრიშვილი
- ლიკა ქავჟარაძე
- შალვა დავითაშვილი
- სანდრო ახმეტელი
- დევი აბაშიძე
- აკაკი ვასაძე
- თამარ სხირტლაძე
- ნადია შალუტაშვილი
- თამარ წულუკიძე
- დუდუხანა წეროძე
- ნატალია აზიანი
- ფრიდონ ხალვაში
- ჩინგიზ აითმათოვი

სპორტსმენები:

- გიორგი ოდიშვილი
- მარინე უთმელიძე
- თეიმურაზ კაკულია

2008 წლის რუსეთ-საქართველოს და აფხაზეთის ომში გარდაცვლილი მებრძოლები:

- სოსო ღვინიაშვილი
- გია მოსეშვილი
- კობა აბზიანიძე
- გოჩა მაჩაიძე
- ზურაბ და მამუკა ბეროძეები
- ემზარ გელანტია
- კობა მირზაშვილი
- ლილი თაკვარელია
- მანანა თოლორდავა
- გულიკო გოდოლაძე (ჟურნალისტი)
- ნოდარ (ვეფხო) მათიაშვილი
- ვენერა გაბუნია
- ინგა გვასალია
- რუსუდან ჩხეტიანი
- მერი პაკელიანი
- ალექსანდრე გამსახურდია

სამეცნიერო საზოგადოება:

- გივი ჟვანია
- ზაზა ალექსიძე
- ალბერტ თავხელიძე
- ალექსი მანაგაძე
- ვლადიმერ ბახუტაშვილი
- პალიკო კინტრაია
- არჩილ და გია ქურდიანები
- გოჩა ჩოგოვაძე

მფრინავები, მაშველები:

- ზაზა ლორია
- დიმიტრი ქაადე
- ლევან ჩოხელი
- ანდრო ქუჯოშვილი
- გიორგი ვენეცკი
- ქეთევან გულაღაშვილი
- გიორგი მარგიანი
- კახა ტორჩინავა

➢ *გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარება სახელდების პროცესში*

საანგარიშო წლის განმავლობაში, წინა წლების მსგავსად, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ გააგრძელა თბილისის ურბანულ გარემოში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარების პრაქტიკა.

კომისიის ინიციატივით, თბილისის ქუჩებს შეემატა იმ ქალების სახელობის გეოგრაფიული ობიექტები, რომლებსაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ხელოვნების, კულტურის, სპორტის, მეცნიერების განვითარების საქმეში. კომისიამ იმუშავა და ქუჩებს მიანიჭა იმ ქალების სახელები, რომლებიც იბრძოდნენ ან საკუთარი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას დაიღუპნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მინიჭებული **სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელობის ქუჩებიდან დაახლოებით 34%-ს მიენიჭა ქალის, ხოლო 66%-ს კაცის სახელი,** რაც ზუსტად იმეორებს წინა საანგარიშო წლის პროცენტულ მაჩვენებელს და 3 ერთეულით აღემატება ქალების რაოდენობა გასული წლის მონაცემებს.



➢ *პარტნიორობისა და გამჭვირვალობის პოლიტიკა*

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია, საქმიანობის განხორციელების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პარტნიორობას ისეთ უწყებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც პირდაპირ ან ირიბ შემხებლობაში არიან კომისიის უფლებამოსილების ჩარჩოსთან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შენარჩუნდა თანამშრომლობა ისეთ უწყებებთან, როგორებიცაა: თბილისის მერიის საქალაქო სამსახურები, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ეროვნული არქივი, ვეტერანების საქმეთა სამსახური, ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო და სხვა.

ჩემთვის, როგორც კომისიის თავმჯდომარისთვის, მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს გამჭვირვალობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების მაქსიმალური ჩართულობა. ყველა მნიშვნელოვან ლოკაციაზე, სადაც კომისია ცვლილების პროცესს აწარმოებდა, უზრუნველყოფილი იყო ადგილობრივებთან შეხვედრები და ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების პროცესი.

პარტნიორობისა და გამჭვირვალობის კონტექსტში აღსანიშნავია:

➢ *მოქალაქეებთან ურთიერთობა*

საქართველოში დემოკრატიული მმართველობა ეფუძნება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, როგორც ხალხთან ყველაზე ახლოს მდგომ ინსტიტუციებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია აცნობიერებს საჯაროობისა და ჩართულობის მნიშვნელობას ქვეყანაში კარგი მმართველობის პრინციპების განსამტკიცებლად. როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების ევროპული ქარტია, საქართველოს კონსტიტუცია, ასევე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები პირდაპირ და ირიბად მოიაზრებს მოქალაქეთა უფლებას, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი, გარდა მოქალაქეთა მონაწილეობის კანონმდებლობით გაწერილი შესაძლებლობებისა, კომისიას დამატებით ავალდებულებს თითოეულ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ საჯარო განხილვის და საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვის

შემდგომ. ამ უფლების რეალიზებისთვის კომისიის სხდომის დღის წესრიგი, შესაბამის მასალებთან ერთად ქვეყნდება საჯაროდ, არანაკლებ 20 დღის ვადით და მხოლოდ ამის შემდგომ კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს სხდომა. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ კომისიის სხდომებში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიამ ყველა საკითხი აღნიშნული პროცედურების დაცვით განიხილა. გარდა ამისა, ცალკეულ საკითხებზე განხილვები გაიმართა უშუალოდ იმ ტერიტორიებზე, სადაც სახელდება განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოქალაქეებთან ურთიერთობა და ჩართულობა განხორციელდა სხვადასხვა ფორმით, მათ შორის: კომისიის მიერ საკითხების საჯაროდ განხილვა; მოქალაქეებთან შეხვედრები, როგორც საკრებულოში, ასევე უშუალოდ კონკრეტულ პრობლემურ ლოკაციებზე; სატელეფონო კომუნიკაცია; სოციალური ქსელი, წერილობითი მომართვიანობა.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოში მოსულ ნებისმიერ მოქალაქეს ჰქონდა შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში, შეხვედროდა კომისიის თავმჯდომარეს და მის აპარატს. ხსენებული შესაძლებლობით არაერთმა მოქალაქემ ისარგებლა. მომართვიანობა ძირითადად მისამართის დაზუსტებას, კონსულტაციის გაწევას, გზათა ქსელების მომზადების, ტერიტორიის იდენტიფიცირების და ღვაწლის დასადასტურებლად საჭირო დოკუმენტების შესახებ ინფორმაციას შეეხებოდა.

სატელეფონო კონსულტაცია დაახლოებით ხუთას მოქალაქეს გაეწია, ასევე აქტიურად ხდებოდა მომართვა სოციალური ქსელის საშუალებით, რა დროსაც დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდებოდათ. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წარმომადგენლები რეგულარულად ახორციელებდნენ მისამართებისა და გეოგრაფიული ობიექტების ადგილზე დათვალიერებას.

➢ *პარტნიორობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და უწყებებთან*

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის უფლებამოსილების განხორციელების პროცესი გეოგრაფიული ობიექტების სახელდების მიმართულებით მოიცავს დამისამართებას და ქუჩისთვის სახელმწიფო/საზოგადო მოღვაწის ან ისტორიული მოვლენის/თარიღის და ტოპონიმური სახელწოდების მინიჭებას. დამისამართების კომპონენტში კომისია აქტიურ კომუნიკაციაშია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან და მერიის შესაბამის სამსახურებთან ობიექტის ქალაქგეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრისა და სამისამართე აბრების განთავსების ნაწილში. სახელწოდების შერჩევის მიმართულებით კი კომისია პარტნიორობს სხვადასხვა უნივერსიტეტთან, მეცნიერებათა აკადემიასთან,

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან, საქართველოს საპატრიარქოსთან, ეროვნულ არქივთან, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან. მუნიციპალური სიმბოლოების დადგენის, გამოყენებისა და გამოსახვის წესების შემუშავების კომპონენტში კი კომისია მუდმივ კომუნიკაციაშია საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან.

- *პარტნიორობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან*

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან. ერთობლივად განხორციელდა 80-ზე მეტი გეოგრაფიული ობიექტის განვითარების არეალის შესწავლა, საზღვრებისა და პარამეტრების დადგენა. ხსენებული უწყების მიერ მომზადდა შესაბამისი კარტოგრაფიული მასალები, რაც საკრებულოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს დაერთო. აღნიშნულ უწყებასთან თანამშრომლობის ფარგლებში, სახელდება დასრულდა ისეთ პრობლემურ ტერიტორიებზე, რომელთა დამისამართების პროცესიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა (ფონიჭალის დასახლება).

- *პარტნიორობა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან*

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახური კომისიის ერთ-ერთ მთავარ პარტნიორად მოიაზრება. უწყებასთან არსებული შეთანხმების შესაბამისად კვლავ გაგრძელდა ერთი ფანჯრის პრინციპით მუშაობა და ამა თუ იმ ობიექტთან დაკავშირებით მოქალაქის მიმართვის საფუძველზე უწყებები ელექტრონულად ცვლიან ინფორმაციას დაინტერესებული პირის მიერ დამატებითი გადამისამართებების და ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამისამართო სამსახურის მიერ დამისამართების თაობაზე წარდგენილ ათობით განცხადებაზე მოხდა რეაგირება. ვინაიდან განცხადებათა რაოდენობა მოიცავდა სრული ქუჩის ნუმერაციას, საერთო ჯამში წლის განმავლობაში მისამართი მიენიჭა დაახლოებით ათი ათასამდე საკადასტრო ერთეულს.

➢ *პარტნიორობა ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურთან*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით სამისამართე აბრების დამზადებისა და განთავსების მიმართულებით 500 000 ლარია გათვალისწინებული.

ვინაიდან აბრის განთავსებამდე ხდება ქუჩაზე არსებული საკადასტრო ერთეულების სისტემური ნუმერაცია, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ერთობლივ კომუნიკაციაშია მერიის ხსენებულ სამსახურსა და სამისამართო სამსახურთან. ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური ქუჩაზე აბრების განთავსების პროცესს იწყებს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიასთან შეთანხმებით. კომისია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა იმ ქუჩების პრიორიტეტების განსაზღვრაში, სადაც აბრების მონტაჟი განხორციელდა. **წლის განმავლობაში გეგმიურად განხორციელდება აბრის მონტაჟი დაახლოებით 10 000 მისამართზე.**

➢ *პარტნიორობა საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან*

საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებთან დაკავშირებით წარმოშობს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან კოორდინაციის საჭიროებას. მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან მათი სიმბოლიკა შეათანხმონ ჰერალდიკის საბჭოსთან. ხსენებული მიზნის უზრუნველსაყოფად 2023 წლის განმავლობაში, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წარმომადგენლებმა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის და თბილისის მერის მოადგილის ჩართულობით, რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გამართეს საბჭოსთან.

თბილისის გარდა ყველა მუნიციპალიტეტს აქვს კანონის შესაბამისად დამტკიცებული ქალაქის სიმბოლიკა. კომისიის ინიციატივით და ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან კონსულტაციებით დაიწყო თბილისის სიმბოლიკაზე და მისი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მიღებაზე მუშაობა.

➢ *გეოგრაფიული ობიექტების გახსნის ღონისძიებები*

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შემდგომ, დაინტერესებული პირების სურვილით ან საკუთარი ინიციატივით გეგმავს გეოგრაფიული ობიექტების გახსნის ღონისძიებებს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს საზოგადოებაში

ახალი გეოგრაფიული ობიექტის ცნობადობის ზრდას, ასევე გახსნის ღონისძიებების ორგანიზებით ხდება ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გაგრძელება ყველა იმ მიმართულებით, რაც ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების ყოველდღიურ საზრუნავს წარმოადგენს. გარდა აღნიშნულისა, სახელდებული გეოგრაფიული ობიექტის გახსნა, კონკრეტული სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების ღვაწლის დაფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

საანგარიშო პერიოდში, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ განხორციელდა შემდეგი გეოგრაფიული ობიექტების გახსნის ღონისძიებები: ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ქუჩა; ალექსანდრე ონიანის სახელობის ქუჩა; იასონ ლორთქიფანიძის სახელობის ქუჩა; ნოდარ მათიაშვილის სახელობის სკვერი.

➢ საქმიანობა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში

მ/წლის 12 ივლისიდან დღემდე ვარ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, ჩემი თავმჯდომარეობით, **კომისიის 5 სხდომა ჩატარდა,** რომლის ფარგლებშიც **განხილულ იქნა 19 დადგენილებისა და 84 განკარგულების პროექტი.**

ზემოაღნიშნულ სხდომებზე დეტალურად შევისწავლეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან წარმოდგენილი ნორმატიული აქტების პროექტები, რომლებზე ჩატარებული სამართლებრივი ექსპერტიზის ფარგლებშიც, კომისიას ჰქონდა როგორც სამართლებრივი, ასევე ტექნიკური ხასიათის შენიშვნები, რომლებიც ემსახურებოდა წარმოდგენილი პროექტის როგორც პრეამბულის, ასევე ძირითადი ნაწილის (მუხლების) სამართლებრივ, ტექნიკურ და შინაარსობრივ გამართვას, ზემდგომ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფას.

ჩემი, როგორც კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული/წარდგენილი შენიშვნები, გაზიარებულ იქნა როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევებში, თავად ჩვენი კომისიის მიერ იქნა შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტები.

ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში შემოვიდა 30-ზე მეტი განცხადება/წერილი და თითოეულ მათგანზე კანონით დადგენილ ვადებში განხორციელდა/ხორციელდება შესაბამისი რეაგირება. ამასთანავე, კომისიის სამდივნოს თანამშრომლებმა არაერთ მოქალაქეს გაუწიეს ზეპირი იურიდიული კონსულტაცია.

წარმოდგენილი ანგარიშის ფარგლებში აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც განხილულ და მხარდაჭერილ იქნა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ:

➢ *სამართლებრივი აქტების პროექტების ინიცირება/წინადადებები:*

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, კომისია აქტიურად იყო ჩართული ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებაში, მათ შორის გამოვყოფ **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და**

მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების შესახებ“ დამტკიცებულ ახალ წესს.

აღნიშნული წესი დეტალურად განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით (ძაღლისა და კატის ყოლის წესების დარღვევა), 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (თვითმმართველი ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესების დარღვევით თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა) და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში შინაური ცხოველის მიერ მწვანე ნარგავების დაზიანება ან/და განადგურება) გათვალისწინებული სამართალდარღვევისას **ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (საჯარიმო ქვითრის) როგორც მატერიალური სახით (ბურთულიანი კალმით), ასევე ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმით შევსების ღონისძიებებს.**

წარმოდგენილი დადგენილების მიღება უზრუნველყოფს სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სწრაფ რეაგირებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სააგენტოს საქმიანობის მოქნილ და ეფექტიან განხორციელებას.

➢ *დაუმთავრებელი მშენებლობები:*

სოციალურ-ეკონომიკური და ურბანული თვალსაზრისით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხი დაუმთავრებელ მშენებლობებს უკავშირდება, რომლის შედეგადაც დედაქალაქის მასშტაბით ათასობით ოჯახია დაზარალებული.

აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, შექმნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისია, რომლის ძირითადი საქმიანობაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების მიზნით, დაინტერესებულ პირთა განცხადებების/წინადადებების შესწავლა და დაზარალებულ პირთა ინტერესების

გათვალისწინებით შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. მიმდინარე წლის ივლისიდან ვარ ზემოხსენებული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ შესწავლილ იქნა არაერთი განკარგულების პროექტი, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით განსახორციელებელი რიგი ხელშემწყობი ღონისძიებების (ალტერნატიული საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება, ფულადი კომპენსაცია), ასევე კონკრეტულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, სამშენებლო კომპანიის მიერ, ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, თანხის გადახდის ნაწილში შესრულებული ვალდებულების დადასტურების თაობაზე.

➢ *მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის საკითხები*

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის საკითხები, რომელთა ფარგლებშიც ხდება უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემა იმ პირებისთვის, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ შესაბამისი უძრავი ქონებით.

ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომებზე შესწავლილ და მხარდაჭერილ იქნა **37 განკარგულების პროექტი** დაინტერესებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

ამ კონტექსტში, აღსანიშნავია ქალაქ თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-სა და N5დ-ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის საკითხიც, რომელიც წლების განმავლობაში მოუგვარებელ პრობლემას წარმოადგენდა ამ მშენებლობით დაინტერესებული პირებისთვის. ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციის შესაბამისად, ინტენსიური მრავალბინიანი განაშენიანებისა და გადატვირთული საგზაო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული საპროექტო ტერიტორია არაოპტიმალურ სამშენებლო ობიექტად იქნა მიჩნეული, მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული კანონიერი მესაკუთრეებისთვის მათ

საკუთრებაში არსებულ ფართებთან მიმართებით, მოთხოვნის უფლების დათმობის სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, სხვა საცხოვრებელი ფართების მათთვის საკუთრებაში გადაცემა და ამ გზით წლების მანძილზე არსებული პრობლემის აღმოფხვრა.

- *ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისათვის, მათი წარმომადგენლებისთვის ან მათი უფლებამონაცვლეებისათვის ქონების გადაცემა*

აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, რომ უზრუნველყოს ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის - ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირებისათვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეტაპობრივად ხორციელდება/განხორციელდება კოოპერატიული ბინამშენებლობით დაზარალებული პირებისთვის უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად გადაცემა, მათ მიმართ არსებული სახელმწიფო საშინაო ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ.

ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ შესწავლილ და მხარდაჭერილ იქნა **3 განკარგულების პროექტი ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების 82 წევრის/მათი უფლებამონაცვლის დაკმაყოფილების შესახებ.**

- *ავარიული შენობა-ნაგებობები:*

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლების საკითხთან დაკავშირებით.

გასულ წელს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39[3] მუხლით განისაზღვრა **ხელშემწყობი ღონისძიებები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით,** რაც გულისხმობს დაინტერესებული პირების (ბიზნეს სექტორის) მიერ მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

აღნიშნული მიდგომა, ბიზნეს სექტორის აქტიური ჩართულობით, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ძველი თბილისის ისტორიული უბნების იერსახის შენარჩუნებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობს ამ უბნებში მდებარე სხვადასხვა კატეგორიის ავარიულობის მქონე უძრავი ქონების მესაკუთრეთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

საანგარიშო პერიოდში იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ შეისწავლა და მხარი დაუჭირა **28 განკარგულების პროექტს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.**

- ***სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებით:***

ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში, სატრანსპორტო სფეროს მოწესრიგების მიზნით განხორციელებული ღონისძიებებიდან მსურს გამოვყო **„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მოტოციკლის (გარდა სამთვლიანისა) ან/და მოპედის (გარდა სამთვლიანისა) მოძრაობის დროის და პირობების განსაზღვრის შესახებ“** დადგენილების მიღება.

საქართველოს პარლამენტის მიერ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების

თანახმად, სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება, გაჩერება და დგომა სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისთვის განკუთვნილ ზოლზე შესაბამისი კატეგორიის მსუბუქ ავტომობილ – ტაქსთან (M1 კატეგორია) ერთად ასევე დაშვებულ იქნა მოტოციკლის (გარდა სამთვლიანისა) ან/და მოპედის (გარდა სამთვლიანისა) შემთხვევაშიც, თუ ამ გამონაკლისს დაუშვებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.

ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა ზემოხსენებული დადგენილება, რომლის მიხედვითაც, სატრანსპორტო საშუალებათა საერთო ნაკადის მოძრაობის მიმართულებით, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში, სადაც განთავსებულია შესაბამისი საგზაო ნიშანი ან/და დატანილია მონიშვნა, დასაშვები გახდა მოტოციკლის (გარდა სამთვლიანისა) ან/და მოპედის (გარდა სამთვლიანისა) მოძრაობა დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, თუ იგი არ შეაფერხებს, არ გააძნელებს ან არ დააბრკოლებს სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას, ხოლო ამავე გზის მონაკვეთზე აღნიშნული მოტოციკლის ან/და მოპედის მძღოლის მიერ მგზავრთა ჩასხდომა/დასხდომა-გადმოსხდომა აკრძალულია.

წარმოდგენილი დადგენილების მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი გახდა ევროპის მრავალ ქვეყანაში (ესპანეთი, შვედეთი, ავსტრია და ა.შ) დამკვიდრებული ანალოგიური პრაქტიკა, რომელიც მიზნად ისახავს საგზაო შემთხვევების რაოდენობის შემცირებას და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებას. ამასთანავე, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მოტოციკლების და მოპედების სწრაფი გადაადგილებით მცირდება ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევაც, რაც დადებითად აისახება ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებაც, რომლის თანახმადაც, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე 08:00-11:00 და 17:00-20:00 საათების შუალედში,** ზემოაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულ სხვა შესაბამის კატეგორიებთან ერთად, აიკრძალა **T კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების** (ნებისმიერი თვლიანი ან მუხლუხა მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელიც განკუთვნილია სასოფლო-სამეურნეო ან

სატყეო სამუშაოების შესასრულებლად) მოძრაობა, გარდა ამავე დადგენილებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.

- *ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებით:*

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებით დამტკიცებულ „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ შეტანილი ცვლილებებით, ქვეპროგრამით გათვალისწინებულ იქნა **ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრის შექმნის მიზნით, მოხალისედ დარეგისტრირებული, პოტენციური დონორების კვლევის სრულად დაფინანსება,** ხოლო მომსახურების მიმწოდებლად განისაზღვრა დაწესებულება, რომელიც ძვლის ტვინის დონორთა მსოფლიო ასოციაციის (WMDA) რეკომენდაციის საფუძველზე, **ახორციელებს ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრის შექმნას** და აკმაყოფილებს წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

წარმოდგენილი ცვლილებები განაპირობა ძვლის ტვინის დონორთა მსოფლიო ასოციაციასთან (WMDA) თანამშრომლობამ და მათმა მხარდაჭერამ საქართველოში, ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრის პროგრამის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ პროცესებში. იმისათვის, რომ ქვეყანაში შეიქმნას ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრი და იგი ჩაერთოს მსოფლიო დონორთა ბანკში, მთელი რიგი მოთხოვნებიდან, რომლებიც აუცილებლად უნდა შესრულდეს, ერთ-ერთია 500 მოხალისე დონორის ბაზის შექმნა.

შესაბამისად, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ქვეყნისა და პაციენტების ინტერესთა გათვალისწინებით, დადგენილებაში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები, ვინაიდან, **მომავალში ასეთი რეესტრის არსებობა პაციენტებს შესაძლებლობას მისცემს, ქვეყნიდან გაუსვლელად მიიღონ ყველა სახის სამედიცინო მომსახურება ონკოლოგიური და ონკო-ჰემატოლოგიური დაავადებების მართვაში, ასევე აღნიშნული უზრუნველყოფს საბიუჯეტო თანხების გადინების შემცირებას ქვეყნის გარეთ.**

- *მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ:*

პრაქტიკაში გამოვლენილი შემთხვევებიდან გამომდინარე, არსებული რეგულაციების სრულყოფისა და თანაბარი პირობების შექმნის მიზნით, არაერთი ცვლილება განხორციელდა **„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის **N39-18** დადგენილებასა და **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის **№14-39** დადგენილებაში.

- ***გარემოს დაცვის მიმართულებით:***

2024 წლის 20 თებერვალს, საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტთან“ დაკავშირებით ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას 26 000 000 (ოცდაექვსი მილიონი) ევროზე, რომლის ფარგლებშიც **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გადაეცა სასესხო შეთანხმებით საქართველოსთვის გათვალისწინებული თანხა 26 000 000 (ოცდაექვსი მილიონი) ევროს ოდენობით, სესხის სახით სასესხო შეთანხმებით, პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;** თავის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სესხის ხელმისაწვდომობას კომპანიისთვის.

პროექტის ფარგლებში, დიდი ლილოს პოლიგონზე მასალების აღმდგენი ობიექტი და მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების საწარმო აშენდება, რომლის საშუალებითაც ნარჩენების სეპარაციისა და გადამუშავების შემდეგ, მასალის რეალიზება მოხდება.

გარდა ამისა, მ/წლის 15 მაისს საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის პროექტთან დაკავშირებით“ 16 000 000 (თექვსმეტი მილიონი) ევროზე და ასევე საგრანტო შეთანხმებას „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის პროექტთან“ დაკავშირებით 4 000 000 (ოთხი მილიონი) ევროზე;

აღნიშნული სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო შეთანხმების პირობების გათვალისწინებით, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გადაეცა სასესხო შეთანხმებით საქართველოსთვის გათვალისწინებული თანხა 16 000 000 (თექვსმეტი მილიონი) ევროს ოდენობით,** პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

პროექტი ითვალისწინებს ნარჩენების განსათავსებელი უჯრედების საბოლოო გადახურვას, უკვე მოქმედი თუ დახურული უჯრედებიდან წარმოქმნილი გაზის შეგროვებასა და შემდგომ უტილიზაციას. **დიდი ლილოს პოლიგონზე მოეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომლის მეშვეობითაც ნარჩენების განთავსების შედეგად გამოფრქვეული მეთანი ჰაერში არ გაიფანტება, მოხდება მისი ელექტოროენერგიად გარდაქმნა და გამოყენება.**

აღნიშნული სამუშაოებით დიდი ლილოს დასახლებაში გარემოს დაცვის მიმართულებით არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება და ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების დიდი ნაწილი მოგვარდება.